

შპს „ბეტალი“

426528714

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31
დეკემბერს

შპს „ბეტალი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა	9
4. ამონაგები	9
5. ფინანსური დანახარჯები	10
6. საბიუჯეტო გადასახადები	10
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10
9. ძირითადი საშუალებები	10
10. ბანკის სესხი	11
11. სავაჭრო ვალდებულებები	11
12. კაპიტალი	11
13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	11
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	12

შპს „ბეტალი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 426528714

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	4	5709572	8275412
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4743787)	(7354250)
საერთო მოგება		1065785	921162
სხვა შემოსავალი		100000	249158
დასაქმებულთა ანაზღაურება		(233049)	(162046)
ცვეთა და ამორტიზაცია		(308433)	(339173)
საპროცენტო შემოსავალი			0
საპროცენტო ხარჯი	5	(0)	(340393)
იჯარის ხარჯი	12	(0)	(3859)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(100099)	(168144)
სხვა ხარჯები			0
საოპერაციო მოგება		424204	156705
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან			
ფინანსური ხარჯი			0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	5		0
მოგება დაბეგვრამდე		424204	156705
მოგების გადასახადის ხარჯი	7		0
მიმდინარე წლის მოგება		424204	156705
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			0
სხვა			0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		424204	156705

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		424204	156705
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		(655216)	(811921)
ახალი აქციების გამოშვება			0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(483400)	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		2	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		(714410)	(655216)

დირექტორი: ალექსი კურატიშვილი
ხელმოწერა:

შპს „ბეტალი“ (426528714)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მიმდინარე აქტივები		580312	836097	957845
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	255	22681	9888
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	517910	590918	713726
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	11986	222597	234231
სხვა მიმდინარე აქტივები		50161	0	0
გადახდილი ავანსები				
გრძელვადიანი აქტივები		2454806	2620108	3070769
ძირითადი საშუალებები	9	2454806	2620108	3070769
არამატერიალური აქტივები	10		0	0
სულ აქტივები		3035119	3456205	4028614

ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მიმდინარე ვალდებულებები		972692	1480684	1284880
სავაჭრო ვალდებულებები	11	926216	1402750	1148614
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			0	0
მიღებული ავანსები			0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	14584	73916
სხვა ვალდებულებები			0	0
საიჯარო ვალდებულებები		46476	63350	62350
გრძელვადიანი ვალდებულებები		2776837	2630737	3555655
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	2776837	2630737	3555655
გადასახდელი პროცენტები			0	0
საკუთარი კაპიტალი		(714410)	(655216)	(811921)
საწესდებო კაპიტალი თუ სააქციო კაპიტალი	13			0
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი		(714410)	(655216)	(811921)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			0	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3035119	3456205	4028614

დირექტორი: ალექსი კურატიშვილი

ხელმოწერა

6-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბეტალი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, გარდაბანი, სოფ.მარტყოფის მიმდებარე ტერიტორია მისი ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად

გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, 15% იანი განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი

დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2024	2023
--	------	------

საქონლის რეალიზაცია	5709570	8275412
მომსახურების გაწევა	0	0
გაყიდული საქონელის დაბრუნება და ფასდათმობა	0	0
	0	0

5. ფინანსური დანახარჯები

	2024	2023
ბანკის სესხის პროცენტი	(0)	(340393)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		

6. საბიუჯეტო გადასახადები

	2024	2023
მოგების გადასახადი	0	0

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო დებიტორები	517910	5908190
წინასწარი გადახდები		

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2024	2023
ნედლეული	11986	222597
სარეკლამო საქონელი		0

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებ ულება	მიწა და შენობა - ნაგებობები	მანქანა - დანადგა რები და მოწყობი ლობა	ოფისის აღჭურ ვილობ ა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრან- სპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2024 წ.	1110890	492612	874	4275	538972	2147623
ცვეთა	87828	103404	174	854	115839	308099
31 დეკემბერი 2024 წ.	1620846	412218	699	3421	463365	2500549

10. ბანკის სესხი

	2024	2023
ბანკის სესხი (გრძელვადიანი)		0
ბანკის სესხი (მოკლევადიანი)	0	0
		0

11. სავაჭრო ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 972692 ლარს
(2023 წლის 31 დეკემბრისთვის 1466100ლარი)

12. კაპიტალი

2024 წლისა 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 0 ლარს.

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023
ფულადი სახსრები სალაროში	167	580

ფულადი სახსრები ბანკში	88	22100
------------------------	----	-------

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: ალექსი კურატიშვილი

ხელმოწერა: